



**ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის საკრებულო**



**გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 197**

26 აპრილი  
“ --- ” ----- 2024 წ

**ქ. თბილისი**

ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა №13-ში; ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ  
”სარაჯიშვილი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები:  
№01.11.17.001.151; №01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე  
მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის  
დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“  
მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2  
პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის  
24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის  
ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.662.754  
განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა №13-ში; ქალაქ  
თბილისში, მეტროს სადგურ ”სარაჯიშვილი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე  
(საკადასტრო კოდები: №01.11.17.001.151; №01.11.17.001.152) და მიმდებარე  
დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების  
რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ  
თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს  
ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული №01233063561-67  
(№01240234246-67; №012407034-67; №01240882461-67; №01240952310-67; №01241013129-67;  
№01241033973-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების  
განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით  
აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



**განკარგულება - N 24.662.754**  
**17 / აპრილი / 2024 წ.**

ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 2 ნოემბერს N01233063561-67 (N01240234246-67; N012407034-67; N01240882461-67; N01240952310-67; N01241013129-67; N01241033973-67) განცხადებით მიმართა მერაბ სიჭინავამ (პ/ნ: 01004003825) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობია 5060 კვ.მ. აქედან, რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საერთო ფართობია 4900 კვ.მ, ხოლო დაურეგისტრირებელი ტერიტორიის - 160 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით მცირედ ნაწილზე შემოთავაზებულია ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტრო სადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 30 ივნისის N326 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება მრავალფუნქციური კომპლექსი (კომერციული). იგეგმება ორი მიწის ნაკვეთის გაერთიანება, სადაც განთავსდება მაქსიმუმ 4,5 მეტრის სიმაღლის, 2 სართულიანი (მიწისზედა და მიწისქვეშა) შენობა-ნაგებობა, ხოლო, 160 კვ.მ (ამჟამად დაურეგისტრირებელი ტერიტორია) იქნება სამშენებლოდ შეზღუდული და მასზე შენარჩუნდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ ხაზობრივ ნაგებობებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მათი შესაკუთრების/შესაბამისი უწყებების წერილები, რომლებშიც დაფიქსირებული პოზიციები



გათვალისწინებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში.

საპროექტო ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო არეალის ფართობი - 5060 კვ.მ.

ნაკვეთი N1: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)- 4900 კვ.მ.

კ-1-0,3 (1275 კვ.მ.)

კ-2-0,3 (1275 კვ.მ.)

კ-3-0,4 (1980 კვ.მ.)

შენობა-ნაგებობის სართულიანობა/სიმაღლე - 2 სართული (მიწისზედა და მიწისქვეშა)/ 4,5 მეტრი.

ნაკვეთი N2: სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)- 160 კვ.მ.- სამშენებლოდ შეზღუდული

კ-1-;

კ-2-;

კ-3-0,6 (100 კვ.მ.)

არსებული ფუნქციური ზონირება: სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1); გამწვანებული ტერიტორიების ფენით - ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური);

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5<sup>1</sup> პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 2 თებერვლის N01240333862 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა სპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 16 აპრილის N01241073974 წერილის შესაბამისად, სააგენტო, არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01233063561-67 (N01240234246-67; N012407034-67; N01240882461-67; N01240952310-67; N01241013129-67; N01241033973-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტროს სადგურ „სარაჯიშვილის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების ვაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01240333862**  
თარიღი: **02/02/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 23 იანვრის №01240234246-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.17.001.151, 01.11.17.001.152 და მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია; **საპროექტი ფუნქციური ზონირება:** საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3); **გამწვანებული ტერიტორიების რუკა:** ნაწილობრივ შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალები) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული:** 9 ძირი აღმოსავლური ჭადარი, 14 ძირი ელდარის ფიჭვი, 1 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი, 1 ძირი თუთა და **საპროექტოდ დასარგავი:** 5 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი; 5 ძირი ცრუ აკაცია; 7 ძირი იტალიური ფიჭვი; ჯამში - 42 ერთეული) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის სავალდებულო მინიმალურ საანგარიშო ფართობს ( $სსზ-3 = 0.2 = 1012 \text{ მ}^2$ ).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის  
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული  
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01241073974  
თარიღი: 16/04/2024

2024 წლის 12 აპრილის N 01241033973-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N 13-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.11.17.001.151, 01.11.17.001.152) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2023 წლის 18 მარტის N 012307777-67 განცხადების პასუხად N 0123080170 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიცირი  
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი















კვ-ის საანბაროშო უაროუბო 100.0მ<sup>2</sup>



შენიშვნა:

ბრგ-ს საპროექტო არეალსათვის საკმარისი ფართობის გაზრდის მიზნით დამატებული თ. შეშედიბის ქუჩის მხრეს ჩვენს საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრედ არსებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი თავისუფალი ტერიტორია 160 კვ.მ (საკადასტრო კოდი არ გააჩნია)

კოეფიციენტიპის საანბაროშო უაროუბო: 160.00მ<sup>2</sup>

კ1 -

კ2 -

კ3= 100,0/160=0,6მ<sup>2</sup>

	შ.პ.ს. "ა არქიტექტურა" თბილისი, კახეთის ქ. N2 მისამართი: 0101 599 100 111 E-mail: <a href="mailto:info@astudio.ge">info@astudio.ge</a>	არქიტექტურის სახელი ARCHITECTURE	პროექტის სახელი PROJECT	პროექტის კოდი PROJECT CODE	პროექტის მფლობელი CLIENT	პროექტის მისამართი ADDRESS	პროექტის სახელი PROJECT NAME	პროექტის მასშტაბი SCALE	პროექტის თარიღი DATE OF ISSUE	პროექტის ეტაპი STAGE	პროექტის ფურცლის რაოდენობა NUMBER OF SHEETS	პროექტის ფურცლის ნომერი NUMBER OF SHEETS
	შ.პ.ს. "ა არქიტექტურა" თბილისი, კახეთის ქ. N2 მისამართი: 0101 599 100 111 E-mail: <a href="mailto:info@astudio.ge">info@astudio.ge</a>	პროექტის სახელი PROJECT	პროექტის კოდი PROJECT CODE	პროექტის მფლობელი CLIENT	პროექტის მისამართი ADDRESS	პროექტის სახელი PROJECT NAME	პროექტის მასშტაბი SCALE	პროექტის თარიღი DATE OF ISSUE	პროექტის ეტაპი STAGE	პროექტის ფურცლის რაოდენობა NUMBER OF SHEETS	პროექტის ფურცლის ნომერი NUMBER OF SHEETS	



ՆԱԽԱՐԱԿ

1. ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ
2. ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ
3. ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ


ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

ՆԱԽԱՐԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ



Հ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ  
 ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ  
 ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ ԱՍԽԱՏԱԿԱՆ ԿՈՆՍՏՐԱԿՏԱԿԱՆ

